პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 213 (2933) ● ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

გუშინ...

თბილისის საერთაშორისო

დილით მოხდა წინა ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება. დამიანოვიჩმა მოუგო კოლაროვს, ხოლო რადულოვმა წააგო ჯინჯიხაშვილთან და პიტჩთან. იანსა—ალატორცევის პარტია კვლავ გადაიდო.

სალამოს ძერჟინსკის [illegible]ბში შედგა IV ტური. ხოლმოვმა [illegible]ცხა ფუქსი, ლილიენტ[illegible]ვიჩი, პიტჩმა — კოლაროვი, შოოშმა — ბუსლაევი, რადულოვმა — ბალცეროვსკი.

გურგენიძე — დამიანოვიჩის, იანსა — გიპსლისისა და ნავაროვსკი — ჯინჯიხაშვილის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ალატორცევ — ბოკუჩავას პარტია არ დამთავრებულა.

4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ ხოლმოვი, დამიანოვიჩი, შოოში და ჯინჯიხაშვილი.

• • •

სურათზე: საერთაშორისო ტურნირის საერთო ხედი.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

გუშინ...

უვნებელი მარცხი

კარდიფში სსრ კავშირის ნაკრებმა მსოფლიოს პირველობის უკანასკნელი შესარჩევი მატჩი გამართა უელსის ფეხბურთელებთან. ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა ბანიშევსკიმ, მაგრამ შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1. უელსელთაგან ბურთები გაიტანეს: მე-20 წუთზე ვერნონმა და მე-80 წუთზე ოლჩერჩმა.

საბჭოთა გუნდმა ითამაშა ასეთი შემადგენლობით: კავაზაშვილი, აფონინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, დანილოვი, ვორონინი, ჰუსაინოვი, მეტრეველი, მალაფეევი, ბანიშევსკი, მესხი.

ამ ნარცხის მიუხედავად, საბჭოთა ნაკრებს, როგორც ცნობილია, განაღდებული აქვს ლონდონის საგზური.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„მშრალი“ ანგარიშით

გაიმართა მორიგი მატჩი „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

„დინამო“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 3:0.

გოლები გაიტანეს მასლოვმა (2) და ავრუცკიმ.

„ჩერნომორეცისა“ და „ზენიტის“ თამაში გადატანილია 31 ოქტომბრისთვის.

„ა“ კლასი

გათამაშების ცხრილი

პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 28 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	27	17	7	3	42—18	41
„დინამო“ (კიევი)	26	17	6	3	46—18	40
„დინამო“ (მინსკი)	27	13	7	7	32—19	33
ცსკა	27	12	8	7	31—19	32
„დინამო“ (მოსკოვი)	29	10	12	7	35—24	32
სკა (როსტოვი)	28	9	13	6	34—29	31
„დინამო“ (თბილისი)	27	9	10	8	30—26	28
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	27	9	10	8	30—26	28
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	27	9	10	8	22—20	28
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	28	9	8	11	33—33	26
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	28	10	6	12	27—31	26
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	27	8	10	9	27—33	26
„შახტიორი“ (დონეცკი)	27	7	11	9	24—26	25
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	28	9	7	12	33—37	25
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	30	8	8	14	37—45	24
„ტორპედო“ (ქუთაისი)	28	6	2	20	21—63	14
სკა (ოდესა)	27	2	5	20	17—54	9

„არარატის“ წაგება

„ა“ კლასის II ჯგუფში გრძელდება გათამაშება გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის.

აქ კარგა ხანია ლიდერობა ხელთა აქვთ ერევნის „არარატის“ ფეხბურთელებს, მაგრამ ლიდერმა გუშინ წაიბორძიკა. მან საკუთარ მინდორზე დამარცხება განიცადა ჩელიაბინსკის „ლოკომოტივთან“ — 0:1.

ტაიმი პირველი... ტაიმი მეორე...

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 27 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (გრადეც-კრალოვე) 5:1 (0:0).

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჰელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, ბარქაია, იამანიძე, დათუნაშვილი (მაისურაძე).

„სპარტაკი“: ინდრა, გუმული, პიჩმანი, ზაგალკა, მონიკი, სილბერნაგლი, შურანსკი (კოპეჩნი), პოკორნი, შონკა, ტაუხენი, ზიკანი.

მსაჯი მ. ამბარცუმიანი (ერევანი).

გრადეც-კრალოვეს „სპარტაკი“ საკმაოდ ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდია, რომელიც თავისი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში (I ლიგა) ჯერჯერობით IV ადგილზე იმყოფება. ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ თბილისის „დინამოსთვის“ ეს იქნებოდა საპასუხისმგებლო საერთაშორისო მატჩი.

დებიუტი თითქოს ასეც წარიმართა. სტუმრები ზუსტი გადაცემებით მოქმედებდნენ მინდვრის შუაგულში და მეტოქეს საშუალებას არ აძლევდნენ ეწარმოებინა სწრაფი იერიშები. ტაიმი დამთავრდა ისე, რომ დინამოელებს სახიფათო მომენტი თითქოს არც კი შეუქმნიათ „სპარტაკის“ კართან.

სამაგიეროდ, პირველი ტაიმის ინერტულობა თბილისელმა ფეხბურთელებმა სრულად აანაზღაურეს შესვენების შემდეგ. უკვე მე-4 წუთზე გათამაშდა საჯარიმო დარტყმა მარჯვენა ფლანგიდან, რომელიც ცხოვრებოვმა დაამთავრა შორიდან ზუსტი, ძლიერი დარტყმით — 1:0. მცირე ხნის შემდეგ ბარქაიას გადაცემა კარგად გამოიყენა ხართიშვილმა და მეორე ბურთი გაგზავნა სტუმრების კარში. მე-18 წუთზე ინდრას მესამე ბურთის გამოტანა ჩოუხდა იმავე ხართიშვილის მიერ შესრულებული საუკეთესო დარტყმის შემდეგ (იხ. ჩვენი ფოტოკორესპონდენტის მ. ზარგარიანის სურათი).

თბილისელები აღარ სცილდებოდნენ „სპარტაკის“ კარს. 31-ე და 33-ე წუთებზე მარცხენა ფრთაზე გათამაშდა ორი კომბინაცია ილიადსა და ხუციშვილს შორის და ამ უკანასკნელმა ორჯერვე ზუსტად მისცა ბურთს თავით მიმართულება კარისკენ — 5:0.

ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა სტუმრებმა შეძლეს მატჩის დასასრულს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით (შონკა). თბილისის „დინამომ“ თავისი საერთაშორისო მატჩების აქტივს კიდევ ერთი გამარჯვება შემატა.

რ. ქორიძე.

უსმინეთ საათს!

◆ **მახარაძე,** 27 ოქტომბერი. აქ დამთავრდა საქართველოს პირველობა ლელობურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და მახარაძის სპორტსმენები. გაიმარჯვეს მომავალმა აგრონომებმა — 6:5. III ადგილზე გავიდნენ სამტრედიელი ლელობურთელები.

◆ **ესენი,** 27 ოქტომბერი. საბჭოთა ტანმოვარჯიშეებთან მატჩში დამარცხების შემდეგ იაპონიის ნაკრები აქ შეხვდა ევროპის ნაკრებს. ამ უკანასკნელს აკლდა კონტინენტის ბევრი გამოჩენილი ტანმოვარჯიშე და იაპონელებმა საკმაოდ იოლი გამარჯვება იზეიმეს. ევროპელებმა წარმატება მოიპოვეს მხოლოდ ტაიჭზე ვარჯიშის გუნდურ ჩათვლაში. ამ იარაღზე პირად ასპარეზობაში ყველას აჯობა ა. ნაკაიამამ — 57,85 ქულა. ევროპის ნაკრების სახელს იცავდნენ: პოლონელი ნ. კუბიცა (III ადგილი), მისი ძმა — ვილჰელმი (VI), ნორვეგიელი ა. სტორჰაუგი (VII), იტალიელი ჯ. კარმინუჩი (VIII), გფრ-ის წარმომადგენელი ვ. იაშეკი (XI) და ფრანგი კ. გიფროი (XII).

რადიოტალღაზე

◆ **თეირანი,** 27 ოქტომბერი. დღეს აქ დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ძალოსნობაში. ეს საინტერესო ასპარეზობა გახსნეს მჩატე წონის სპორტსმენებმა. ჩემპიონი გახდა უნგრელი ი. ფიოლდი — 360 კგ. II და III ადგილებზე გამოვიდნენ იაპონელები ს. ისინოსეკი და იოსიუკი მიაკე (ცნობილ იოშინობუს ძმა). საბჭოთა ძალოსანმა ა. ვახონინმა აჰიმვაში საწყისი წონა (107,5 კგ) ვერ ასწია და შეჯიბრებას გამოეთიშა.

◆ **ლიეპაია,** 27 ოქტომბერი. რუსულ შაშში საკავშირო ჩემპიონატის 15 ტურის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობს ლენინგრადელი მოსწავლე ვ. ლიტვინოვიჩი, რომელსაც ბოლო 4 ტურის წინ 10,5 ქულა აქვს. ტულელი დიდოსტატი ვ. აბაულინი და გამოცდილი ოსტატები ნ. აბაციევი (მოსკოვი), ი. არუსტამოვი (ბაქო) და ქვეყნის ექსჩემპიონი ა. პლაკხინი ლიდერს 1 ქულით ჩამორჩებიან.

გუშინ...

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საკონცერტო დარბაზში შედგა ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე მატჩის XVII პარტია ვ. შჩოგოლევსა და ი. კუპერმანს შორის. 62-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიში გახდა 11:6 კუპერმანის სასარგებლოდ.

დახავსებული მეთოდებით

მოსწავლეთა სპარტაკიადის ექო

წერილი მეოთხე

მოსწავლეთა IX საკავშირო სპარტაკიადაზე, მინსკში, ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრები გუნდი სასტიკად დამარცხდა: ჭაბუკებმა XI, ხოლო გოგონებმა XII ადგილი დაიკავეს.

მოვიგონოთ იური ფუნიკოვი, მერაბ მგელაძე, თეიმურაზ კუხიანიძე, ბორის ნიკიტინი, იგორ გიორგობიანი, ვიქტორ რომანოვი, ირინე ამნიაშვილი, რადა არკადიევა, დები — ირინე და ნატა ჩუგუევსკები, ნანი ჭუმბაძე და ესმა ღიბრაძე! ისინი ბრწყინვალედ გამოდიოდნენ მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებებში, წარმატებით იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას. ახლა? ახლა კი პირდაპირ უნდა ვაღიაროთ: ამ კლასის სპორტსმენები ჩვენს რესპუბლიკას აღარ ჰყავს და ალბათ დიდი დრო დაგვჭირდება მსგავსთა აღსაზრდელად.

ასეთი მდგომარეობის შექმნის მიზეზი ბაზების უქონლობასთან ერთად ისიცაა, რომ მწვრთნელებმა შეანელეს მუშაობა და ჩვეული გულისყურით აღარ ეკიდებიან ნორჩი ტალანტების გამოვლენას.

მინსკში ჩვენი მოსწავლე-სპორტსმენების გამოსვლის ანალიზი ცხადყოფს, თუ რამდენად ჩამოვრჩებით სხვა რესპუბლიკათა მოცურავეებს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში სპორტის კანდიდატის შედეგის მქონე მოსკოველმა გოგონამ 1.07,3-ით დაიკავა IX ადგილი და ფინალშიც ვერ მოხვდა, ხოლო ჩვენი გუნდის წარმომადგენელი ლ. ოსიპოვა 1.13,9-ით მხოლოდ XXVI ადგილზე აღმოჩნდა. 400 მ გოგონათა კომპლექსურ ცურვაში მადლენა ღიბრაძემ რესპუბლიკის რეკორდი (6:26,5) დაამყარა, მაგრამ ეს შედეგი საკმარისი იყო მხოლოდ XIII ადგილის დასაკავებლად. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ისეთ შეჯიბრებებში, როგორიცაა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, უკვე აღარ შეიძლება II თანრიგის მქონე მოსწავლეებისგან შეკოწიწებული გუნდით გამოსვლა. ჩანს, უნდა შეიცვალოს როგორც საორგანიზაციო, ისე წვრთნის მეთოდებიც.

ჩვენი ჩავარდნის მიზეზებიდან პირველად ვასახელებთ კეთილმოწყობილი ბაზების სიმცირეს. მაგრამ ეს საკითხი ერთგვარად უკვე დაიძრა მკვდარი წერტილიდან. პირველ მერცხლად მოგვევლინა დახურული აუზი ვაკეში, რომელიც უთუოდ დიდ სამსახურს გაგვიწევს მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადებაში. იწყება ახალი აუზის მშენებლობა სანაპიროზე, გათბობის ქსელით აღიჭურვება ორთაჭალაში მდებარე „განთიადის“ აუზი. მაგრამ ეს კმარა? განა რესპუბლიკის სხვა ქალაქებს არ სჭირდებათ კეთილმოწყობილი ბაზები? ნუთუ აღარ დადგა სპორტული ცურვის გეოგრაფიის გაფართოების დრო? საკამათო არაა, რომ მხოლოდ თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ბაზებით შორს ვერ წავალთ.

ახლა გადავხედოთ იმას, თუ საიდან რამდენი მოსწავლე-მოცურავე მოხვდა რესპუბლიკის ნაკრებში: თბილისის განათლების განყოფილებიდან—12 ბავშვი, თბილისის „დინამოდან“—15, „განთიადიდან“—1, „შრომითი რეზერვებიდან“—3, სოხუმიდან—2.

აი, მთელი ჩვენი „ავლადიდება“. ასეთი მასშტაბებით, რასაკვირველია, ვერასოდეს მივაღწევთ მაღალ შედეგებს. ვინ იცის, რამდენი ტალანტი იჩქმალება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ჩვენ კი შევცქერით რესპუბლიკის სამ წერტილს და ვოცნებობთ... მაღალ შედეგებზე. განა ქუთაისს აღარ ძალუძს აღზარდოს ვინმე, განა არ დადგა დრო, რომ ქუთაისელი მოცურავეები მოვაცილოთ ლიტოპონის ქარხნის წყალსაგუბარს და მათ ნორმალური პირობები შევუქმნათ?

არც ისაა მოსათმენი, რომ ბათუმიდან წელს არც ერთი წარმომადგენელი არ იყო შეყვანილი რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში. ჩვენი გაჭირვება იქამდე მივიდა, რომ სოხუმის გუნდი იძულებული გახდა სოჭში ჩაეტარებინა წინასასპარტაკიადო ვარჯიში. და ეს იმიტომ, რომ სოხუმელები თბილისშიც კი ვერ უზრუნველყვეს სავარჯიშო ბაზებით. ცხადია, ასეთ პირობებში ძნელია სპორტსმენმა მიაღწიოს საკავშირო ასპარეზობისთვის საჭირო ოსტატობის დონეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ნორჩი სპორტსმენები არ არიან დაუფლებული ცურვის თანამედროვე ტექნიკას, არა აქვთ დახვეწილი მოძრაობები, აკლიათ გამძლეობა და საერთო ფიზიკური მომზადება. განსაკუთრებით უნდა ვუსაყვედუროთ მწვრთნელებს, რომლებიც ვერ იყენებენ წვრთნის თანამედროვე მეთოდებს და დახავსებული ხერხებით აპირებენ სპორტული მწვერვალების დაპყრობას. როგორც ჩანს, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭიროა ხანგრძლივი (1-1,5-თვიანი) სემინარის ჩატარება, რომლის პროგრამაში ადგილი უნდა დაეთმოს პედაგოგიკას, ფიზიოლოგიას, ანატომიას და სხვა დისციპლინებს, ურომლისოდაც ახლა სპორტული წვრთნა წარმოუდგენელია.

სპორტულ ცურვას ამ ბოლო დროს შეეკედლა ბევრი შემთხვევითი პიროვნება. მათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ ნაკრები გუნდისთვის. არიან ისეთებიც, რომლებიც მრავალი ათეული წლის მანძილზე მხოლოდ ჭაბუკთა თანრიგების მომზადებით არიან გართული.

ახლახან თბილისის განათლების განყოფილების წყლის სახეობათა სპორტსკოლის დირექციის ინიციატივით საქართველოს სპორტკავშირმა ჩაატარა ჯგუფების გასინჯვა-კონკურსი. მან მრავალი ნაკლი გამოავლინა ცალკეული მწვრთნელების მუშაობაში; კომისიამ სათანადო მითითება მოგვცა და ზოგიერთი უპერსპექტივო ჯგუფის დახურვაც გვირჩია. ჩვენი აზრით, ასეთი გასინჯვა ხშირად უნდა ხდებოდეს, რათა ბოლო მოეღოს ზოგიერთ მწვრთნელთა უსაქმურობას. იქნებ ამან მაინც შეაგნებინოს მათ, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ და რისთვის არიან მოწოდებული.

ორიოდე წელიც და კარს მოგვადგება სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა. აქ უფროსებს მხარში ამოუდგებიან ნორჩი სპორტსმენებიც. ამიტომ მათს მომზადებას დროზე უნდა მოვკიდოთ ხელი.

ამისათვის კი საჭიროა ახლავე შედგეს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების კანდიდატთა სია თბილისში, სოხუმსა და ბათუმში (1951-54 წლებში დაბადებულთაგან). მათ ადგილებზევე უნდა გამოეყოთ კვალიფიციური მწვრთნელები. გარდა ამისა, უფროსი მწვრთნელისა და ფედერაციის უნებართვოდ რესპუბლიკიდან სხვა შეჯიბრებებზე არც ერთი გუნდის წევრი არ უნდა გამოდიოდეს. ნაკრები გუნდების მომზადებისათვის რესპუბლიკის საუკეთესო ბაზები უნდა გამოიყოს, თვითეულ მოსწავლეზე შედგეს პერსპექტიული გეგმა და კონტროლი გაეწიოს მის განხორციელებას. არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ნაკრებმა გუნდებმა ხშირად უნდა მიიღონ მონაწილეობა (სპეციალური გეგმის მიხედვით) ამხანაგურ შეჯიბრებებში მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენებთან.

თუ გვინდა, რომ მომავლისთვის სრულყოფილი რეზერვის მომზადების პრობლემა ქმედითად გადაიჭრას, საჭიროა სპორტის ამ სახეობაში ბავშვთა მასობრივად ჩაბმა, საცურაო ბაზების ქსელის მკვეთრი გაფართოება. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და თბილისის განათლების განყოფილებამ თავიანთი მხრივ მეტი ენთუზიაზმი უნდა გამოიჩინონ ამ მიმართებით.

გ. დათაძე,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოცურავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

ღვაწლმოსილი პროფესორი

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და საექიმო ფიზკულტურის კათედრის გამგეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი იაკობის ძე მღებრიშვილს დაბადების 75 და საექიმო, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი შეუსრულდა.

1916 წელს კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი დიდხანს მუშაობდა რუსეთში ერობის ექიმად. 1920-21 წლებში ლანჩხუთის რაიონის ჯანგანყოფილების გამგე იყო, ხოლო 1925 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის კომისარიატში, ფიზიკური კულტურის დარგში ექიმ-ინსპექტორის თანამდებობაზე. ამავე პერიოდში იგი რესპუბლიკის საკურორტო სამმართველოს ხაზით სამკურნალო ფიზკულტურის ექიმ სპეციალისტად საქმიანობდა.

მეტად დიდია და მრავალმხრივი პროფ. გ. მღებრიშვილის მოღვაწეობა რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის დარგის განვითარებისათვის. მისი ინიციატივით 1930 წელს ბაკურიანში შეიქმნა სამთო-სათხილამურო ბაზა და სპორტის ამ სახეობაში პირველი რესპუბლიკური ღონისძიება ჩატარდა. მის მიერვე პირველად იქნა მეცნიერულად შესწავლილი ბაკურიანის კლიმატური პირობები და მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებიც დაისახა ამ სათხილამურო ბაზის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

გ. მღებრიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნაში, სადაც დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა 1930-1935 წლებში. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ფიზკულტურის საკვლევ ინსტიტუტში სპორტის მეთოდიკას, ფიზიოლოგიისა და მედიცინის (საექიმო კონტროლის) დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

ფიზიკური კულტურის დარგში გ. მღებრიშვილის კიდევ ერთ დიდ დამსახურებად ითვლება ისიც, რომ მან ბევრი რამ გააკეთა სახელმწიფო უნივერსიტეტში 1935 წელს ფიზიკური კულტურის ფაკულტეტის დაარსებისათვის, რომლის დეკანადაც 1937 წლამდე მუშაობდა.

ამ პერიოდში გ. მღებრიშვილის თაოსნობით უნივერსიტეტის ამ სრულიად ახალგაზრდა ფაკულტეტზე მომავალ სპორტსმენ-პედაგოგებს ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი მეცნიერები: აკადემიკოსები ი. ბერიტაშვილი, დ. უზნაძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. დ. გედევანიშვილი, პროფესორები ვ. ვარაზი, ე. სემენსკაია და სხვ. პარალელურად გ. მღებრიშვილი 1931 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და საექიმო ფიზკულტურის კათედრას.

გ. მღებრიშვილის 60-მდე სხვადასხვა სამეცნიერო შრომაში ძირითადად გაშუქებულია სამი ისეთი საკვანძო პრობლემა, რომლებიც ეხება საწარმოო ტანვარჯიშს, სპორტსმენთა გაწვრთნილობის დიაგნოსტიკისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთ დაავადებათა დროს სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენების საკითხებს.

ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში გ. მღებრიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო საწარმოო ტანვარჯიშის ეფექტურობის საკითხის მეცნიერული შესწავლა, რაც დღესაც წარმატებით გრძელდება.

მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიწყო კომპლექსური საექიმო გამოკვლევის მეთოდით სპორტსმენთა სამედიცინო შემოწმება. სამედიცინო ინსტიტუტის საექიმო ფიზკულტურის კათედრაზე ამ მეთოდის დანერგვამ დიდი როლი ითამაშა იმ მნიშვნელოვან სამეცნიერო გამოკვლევებში, რომლებიც ამ კათედრაზე შესრულდა სხვადასხვა დროს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მან ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა შექმნა კლინიკო-ექსპერიმენტული შრომა ჰიპერტონულ სნეულებაზე, რისთვისაც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

პროფ. გ. მღებრიშვილის ხელმძღვანელობით კათედრაზე შესრულებული შრომები უკანასკნელი 5 წლის მანძილზე გატანილ იქნა არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო სპორტული მედიცინის სხვადასხვა კონფერენციაზე, რომლებიც ჩატარდა ვენაში, სოფიაში, პრაღაში, ბუდაპეშტში, ტოკიოში და სანტ-იაგოში.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო გ. მღებრიშვილის მოღვაწეობა სამხედრო ჰოსპიტლებისთვის სამკურნალო ფიზკულტურის დარგში სამამულო ომის პერიოდში.

გ. მღებრიშვილმა (ა. ზოიძესთან ერთად) საექიმო ფიზკულტურის ისტორიაში სსრ კავშირის მასშტაბით პირველად შეადგინა სპეციალური სახელმძღვანელო სტუდენტთათვის.

პროფ. გ. მღებრიშვილი ახლაც ძველებურად მგზნებარებით ემსახურება საექიმო ფიზიკურ კულტურას, მუშაობს რესპუბლიკური საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების გამგეობისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის კომისიის თავმჯდომარედ, სპორტული მედიცინის ფედერაციის პრეზიდიუმისა და გერონტოლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრად და სხვ.

ხალხის კეთილდღეობისათვის უანგარო სამსახური და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება — აი, ღვაწლმოსილი პროფესორის ცხოვრების ნათელი აზრი და მიზანი.

ა. ზოიძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
რ. ხვანიშვილი,
დოცენტი.

სად იყო ბათუმის რაიონის ნაკრები?

ქობულეთის სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა „კოლმეურნის“ აჭარის საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ქობულეთის, ხულოსა და ქედის რაიონების ნაკრები გუნდები, აგრეთვე სოფ. ბობოყვათის კოლმეურნეობის მოჭიდავეები. აჭარის ჩემპიონი გახდა ქობულეთის რაიონის ნაკრები. II ადგილზეა ხულოს რაიონის გუნდი, III — ბობოყვათის კოლმეურნე-მოჭიდავენი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ტ. გაგუა, რ. მელაშვილი, სპორტის ოსტატი გ. ძნელაძე, ჯ. გოგორიშვილი (ყველანი — ქობულეთი), ვ. ჩიტაძე (ხულო), სპორტის ოსტატები ლ. ღუდუშაური, რ. ნაკაიძე და ჯ. მანელიშვილი (ყველანი — ქობულეთი).

ბათუმის რაიონმა გუნდი არ წარმოადგინა მაშინ, როცა მას ბევრი კარგი მოჭიდავე ჰყავს და შეეძლო თამამად ებრძოლა პირველობისთვის.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

აჭარის სპორტული ცხოვრება

სტარტზე არიან მძლეოსნები

◆

საჭიდაო ხალიჩის გმირები

7 გუნდის მონაწილეობით

ბათუმი (ჩვენი კორ.). აჭარის მძლეოსანთა საუწყებათაშორისო პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „განთიადის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“, საზღვაოსნო სასწავლებლის, „კოლმეურნისა“ და სპორტსკოლის ნაკრები გუნდები.

100 და 200 მეტრზე რბენაში ქალთა შორის აჭარის ჩემპიონი გახდა ნ. ნევეროვა. ვაჟებში გაიმარჯვა მ. ჯაყელმა (ორივენი — „დინამო“).

სიმაღლეზე ვაჟთა ხტომაში ყველას აჯობა საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტმა ვ. ხაკინმა — 180 სმ, ხოლო ქალთა შორის — დინამოელმა ჯ. ხოფერიამ—140 სმ.

სიგრძეზე ხტომაში ჩემპიონები გახდნენ განთიადელი თ. გოგია და ტ. პონომარიოვა (სპორტსკოლა).

400 და 800 მეტრზე ვაჟთა რბენაში, როგორც მოელოდნენ, გაიმარჯვა საქართველოს ნაკრების წევრმა გ. იმნაძემ.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის სახელი მოიპოვეს დინამოელებმა. II ადგილზეა სპორტსკოლის გუნდი.

ო. მურვანიძე.

ბათუმის სახელმწიფო ცირკის შენობაში გაიმართა სამატჩო შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში ადგილობრივ და როსტოვის გუნდებს შორის. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ბათუმელთაგან წარმატება მოიპოვეს: გ. გოგიჩაიშვილმა (მჩატე წონა), პ. გაგუამ (ქვემსუბუქი წონა), რ. ფიფიამ (საშუალო წონა), ზ. ქინქლაძემ (ქვემძიმე წონა). ორი შეხვედრა დამთავრდა ფრედ. ამ შედეგს მიაღწიეს თ. მესხიძემ (უმჩატესი წონა) და ლ. ქინქლაძემ (ქვესაშუალო წონა).

• • •

სურათზე: მჩატე წონის მოჭიდავეთა — გ. გოგიჩაიშვილისა და ლ. ტეზეხიანის შეხვედრის მომენტი.

ფოტო და ტექსტი პ. ქებაბჩიანისა.



„ლენინგრადი, ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს“

ბევრი უცნაურობა ხდება საერთოდ ფოსტაში. ზოგ სულსწრაფს თუ არმცოდნეს ხან მისამართის დაწერაც კი ავიწყდება კონვერტზე; ჩააგდებს ყუთში და იმტვრიე მერე თავი: ვერც ადრესატს მიაგნებ და ვერც გამგზავნს დაუბრუნებ ბარათს.

მაგრამ, საბედნიეროდ, არიან რჩეული ადრესატებიც...

6 ოქტომბერს ლენინგრადის ფოსტამტში მოვიდა წერილი. კონვერტს ეწერა:

ЛЕНИНГРАД
ЧЕМПИОН
НОНА
ГАФРИНДАШВИЛС

და მეტი არაფერი... .

ასეთ შემთხვევაში კორესპონდენცია, როგორც იტყვიან, „იყინება“ და შემდეგ სრულიად უპერსპექტივო ადგილზე ხვდება. საქმე მხოლოდ რუსული ორთოგრაფიისა და საფოსტო წესების უცოდინარობა არ გახლავთ, არამედ...

— ამ უცნაურ გულშემატკივარს თურმე ისიც არ სცოდნია, რომ მატჩი ლენინგრადში კი არა, რიგაში მიმდინარეობს,— თქვა ფოსტის თანამშრომელმა, ცხვირაპრეხილმა, ქერა გოგონამ.

მატჩის ხსენებაზე ყველამ ყური ცქვიტა. მცირე ხნის შემდეგ კი თანამშრომლები იმ გოგონას შემოეხვივნენ და ბარათიც საერთო მსჯელობის საგანი გახდა.

გადაწყდა, წერილი დაუყოვნებლივ გადაეგზავნათ რიგაში.

— ასე უმისამართოდ?

— გაიკვირვა ერთმა.

— სადაც აქ მივხვდით ჩემპიონის ადგილსამყოფელს, რიგაში როგორ არ ეცოდინებათ!..

კონვერტს ფაქიზად წაეწერა მხოლოდ: „რიგაში“. ბარათი მეორე დღესვე [illegible] დედაქალაქში და დაუყოვნებლივ ჩაბარდა ადრესატს.

იგი ბავშვის მონაწერი აღმოჩნდა. პირველკლასელი თბილისელი მოსწავლე გულით სთხოვდა „დეიდა ნონას“ აუცილებლად მოეგო კუშნირისათვის...

შ. ჯულელი.

ხმა „დამარცხებული ბანაკიდან“

კომენტარს აკეთებს ა. კუშნირის მწვრთნელი

ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე მატჩის ანგარიში თუმცა კი დამაჯერებელია, ბრძოლა მაინც სრულფასოვანი და დაძაბული აღმოჩნდა.

მეტოქეთა შანსები თითქმის ყოველ პარტიაში მერყეობდა და თამაშის მეხუთე საათის დადგომამდე ძნელი იყო მისი ბედის გარკვევა. პრეტენდენტი ხშირად აყენებდა მსოფლიოს ჩემპიონს რთული ამოცანების წინაშე, რომლებსაც იგი მუდამ როდი წყვეტდა.

და მაინც ნონა გაფრინდაშვილმა საშიშ მეტოქეზე თავისი უდავო უპირატესობა დაადასტურა და ღირსეულად შეინარჩუნა უფლება იწოდებოდეს მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალად.

ალა კუშნირი ბევრს ემზადებოდა მატჩისათვის. მან ხელი აიღო ჩვეულ სადებიუტო სქემებზე, რომლებსაც ადრე ყოველთვის წყალობდა. განსაკუთრებით შეიცვალა მისი ტაქტიკა შავებით თამაშისას: ახლა ალა პარტიის დაწყებით სტადიაში უწინდებურად გათანაბრებაზე კი არ ზრუნავდა, არამედ ინიციატივისაკენ ილტვოდა. ამან კი გარკვეული გამოცოცხლება შეიტანა ბრძოლის მსვლელობაში.

მაგრამ არც ნონა დგას ერთ ადგილზე საჭადრაკო ხელოვნებაში. ბევრნი საბოლოოდ შეეჩვივნენ მას, როგორც, პირველ ყოვლისა, მოიერიშე მოჭადრაკეს, რომელსაც თავბრუდამხვევი გართულებები უყვარს. და აი, ამ მატჩის პარტიებში ჩვენ მოულოდნელად გავხდით იმის მოწმენი, თუ როგორ გულმოდგინედ აუმჯობესებდა ნონა პოზიციას, გეგმავდა თამაშს, გონივრულად მანევრირებდა, ოსტატურად იგერიებდა „შუსარულ“ შეტევას (მაგალითად, VIII პარტიაში) და იარაღს აყრევინებდა მეტოქეს.

იქნებ მსოფლიოს ჩემპიონმა შეგნებულად აირჩია ასეთი ტაქტიკა? იქნებ მან გადაწყვიტა საშუალება მიეცა თავისი ნაკლებად გამოცდილი მეტოქისათვის მუდამ შეტევაზე ყოფილიყო და... შეცდომები დაეშვა?

თუ ეს ასეა, ამ გეგმაში გარკვეული მცდარობაცაა. ალა სრულებითაც არ გახლავთ ახალბედა და მისთვის იერიშის მიცემის საშუალება საკმაოდ საშიში საქმეა. მაგალითად, V პარტიაში კუშნირმა (თეთრებით) ძლიერი იერიშის საშუალება მიიღო მეფის ფლანგზე და რომ მას სწორად ეთამაშა 22-ე სვლა, პარტიის ბედი დაუყოვნებლივ მის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ხოლო X პარტიაში გაფრინდაშვილი მეტად დიდხანს ფიქრობდა თავის მე-9 სვლაზე ცნობილ თეორიულ პოზიციაში, რომელიც არა ერთხელ შექმნილა მის პარტიებში ადრინდელი ასპარეზობების დროს, ზედიზედ ორჯერ პასიური სვლა გააკეთა, მოექცა უძლიერესი იერიშის ქვეშ და იაფ წააგო, რომ კონტრთამაშის არავითარი შანსი არ მისცემია.

და მაინც გაფრინდაშვილის სტილის გარკვეული ტრანსფორმაცია დაკავშირებულია, როგორც მე მგონია, ჭადრაკის უფრო ფართო გაგებასთან და წინ გადადგმულ ნაბიჯად გვევლინება უნივერსალიზმის თვისებათა მოხვეჭის გზაზე.

მსოფლიოს ჩემპიონმა, ამასთან, ენდშპილის უფრო ღრმა გაგება გამოავლინა, ვიდრე პრეტენდენტმა. ეს მით უმეტეს აღსანიშნავია, რადგან ერთ დროს ნონა პარტიის ამ სტადიაში შედარებით „ცუდად“ გრძნობდა თავს, ვიდრე დებიუტსა და მიტელშპილში.

და, ბოლოს, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფიზიკურმა მომზადებამ. კუშნირი ამ თვალსაზრისით გაცილებით უფრო სუსტი იყო. აქედან იღებდა სათავეს მისი მომეტებული ნერვიულობაც, ზომაზე მეტი დაძაბულობაც და ფიზიკური შეუძლობაც. საჭირო არ იყო დიდი სპეციალისტი ყოფილიყავი, რომ დაგენახა, რამდენად უფრო წყნარად და დარწმუნებით თამაშობდა ნონა.

ეჭვი არ არის, რომ მატჩის გაკვეთილებს მომავალშიც გაითვალისწინებენ „დაინტერესებული მხარეები“.

დასასრულ, მინდა მივულოცო საქართველოს მთელ სპორტულ საზოგადოებრიობას ნონას ბრწყინვალე მიღწევა, ხოლო ჩემპიონს ვუსურვო მისი ჯადოსნური ნიჭის სრული გაფურჩქვნა.

ვიმედოვნებ, რომ მსოფლიოს პირველობაზე მომავალ მატჩში პრეტენდენტად ისევ მოსკოველი მოჭადრაკე იქნება და ჩვენ კვლავ გავხდებით „მაღალ დონეზე“ გამართული წარმტაცი ბრძოლის მოწმენი.

ბ. პერსიცი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც ნონას ხელს ართმევს, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივრებმა ალბათ იცანით. დიახ, ეს ფეხბურთის არბიტრია, რომელმაც შარშან ტაშკენტში იმსაჯა „ოქროს მატჩი“. რიგელი მ. რუბენისი საგანგებოდ ეწვია ნონას სასტუმროში, რათა მისთვის ახალი გამარჯვება მიელოცა. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ნონას ფოსტა

მთელი მატჩის განმავლობაში ნონა გაფრინდაშვილი გულშემატკივრებისგან დიდძალ დეპეშასა და წერილს ღებულობდა. მას წერდნენ თბილისიდან და ზუგდიდიდან, რუსთავიდან და ქიათურიდან, მოსკოვიდან და ორიოლიდან, ხარკოვიდან და ტალინიდან... ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველი მხრიდან. გამამხნევებელ, იმედიან სიტყვებს განსაკუთრებული ძალა ჰქონდა ბრძოლის კრიტიკულ მომენტებში. მაგალითად, X პარტიის შემდეგ, რომელიც ნონამ წააგო, მოვიდა აი, ასეთი დეპეშა: „მთელი გულით გქომაგობ, მჯერა შენი გამარჯვებისა. ომარ ფხაკაძე“.

უსაზღვროდ გაიზარდა ნონას ფოსტა, როცა მან შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. პირველი დეპეშები მას მოუვიდა მსოფლიოს ჩემპიონ ტ. პეტროსიანისა და დიდოსტატ მ. ტალისგან.

ტ. პეტროსიანი გულითადად ულოცავდა ნონას ჩემპიონობის შენარჩუნებას. მ. ტალი წერდა: „მხურვალე მილოცვები რიგელ დედოფალს თბილისელი შეთქმულისგან, თბილისში მალე შეხვედრამდე“. და როგორც გუშინდელი „ლელოდან“ იცით, მ. ტალი სახელოვან ქართველ მოჭადრაკეს აეროდრომზე დახვდა.

ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვებაში დიდი ამაგი მიუძღვით საქართველოს სპორტკავშირსა და ჩვენს საჭადრაკო ფედერაციას. ამიტომ გ. სიხარულიძისა და ა. ჭირაქაძის დეპეშებმა დიდი სიხარული მიანიჭეს ნონას.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს მილოცვებს უგზავნიან ახლო მეგობრები, მოჭადრაკეები, უცნობი და ნაცნობი გულშემატკივრები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა შორის არიან მისი მშობლიური უცხო ენათა ინსტიტუტი და პიონერთა სასახლე.

აი, ზოგიერთი დეპეშა:

„გვიხარია, გილოცავთ, გკოცნით მთელი გუნდი. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ცხოვრებასა და სპორტში. შენ ერთადერთი გვირგვინოსანი ქალი ხარ, რომლის წინაშე ქედს ვიხრით და თანახმა ვართ გვყავდეს „მეფეც“. შენი დინამოელთა სახელით კოტრიკაძე, კაჩალინი, იამანიძე“.

„ნატანების კოლმეურნეები გულხურად გილოცავენ გამარჯვებას, ახალ წარმატებებს გისურვებენ. შენს მანდარინის ხეზე მეორე მოსავლის ნაყოფი გამოჩნდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. წითლიძე“.

„გმადლობთ სიხარულისთვის. სახალხო არტისტი სანდრო ჟორჟოლიანი“.

„გვახარებს შენი და შიშოვის გამარჯვება. შჩოგოლევი, კურნოსოვი“.

„დეიდა ნონა, დიდი მადლობა დიდი სიხარულისთვის. თბილისის 21-ე საშუალო სკოლის 1^4 კლასის დავალებით, ქეთინო ცინცაძე“.

«Эх раз, еще раз, еще много, много раз»... ელისო კაკაბაძე, ალა ჩაიკოვსკაია, ლეილა ნაჭყებია, ლილი წეროძე“.

... ნონას ფოსტა სქელტანიანია. მისი გადაკითხვა უდიდეს კმაყოფილებას მოგვგვრით და გაგახარებთ.

თ. ნინოშვილი.

ოდესის მძლეოსნურ ბილიკებზე

ახლახან ოდესიდან დაბრუნდა ქართველ მძლეოსანთა ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო იქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებსა და აკადემიებს შორის. პაექრობის ფინალურ სტადიაში პირველობას ერთმანეთს 6 კოლექტივი ეცილებოდა. სტარტზე დადგნენ აგრეთვე პირად ჩათვლაში მონაწილე ამავე სისტემის ინსტიტუტების საუკეთესო სპორტსმენები.

წარმატებით გამოვიდნენ ოდესის სტადიონზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ვდოვინი), რომლებმაც III საპრიზო ადგილი დაიკავეს. პირველობა წილად ხვდა ლატვიის ძლიერ კოლექტივს, II ადგილი კი ლენინგრადელმა მძლეოსნებმა დაისაკუთრეს.

თავი გამოიჩინეს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა ლ. აროშიძემ (შუბის ტყორცნა) და ო. ართილაყვამ (უროს ტყორცნა), აგრეთვე ამავე ინსტიტუტის თანამშრომელმა ი. პრაკოშკინმა (სპორტული სიარული 20 კმ). მათ თავიანთ სახეობებში მეორე შედეგები აჩვენეს. მომავალმა ტექნოლოგმა, პირველკურსელმა რ. ნოზაძემ ორჯერ აიღო სტარტი: 1.500 მეტრზე რბენაში ფინიშთან იგი მესამე იყო, ხოლო 5.000 მეტრზე — მეხუთე.

ქალთა შორის II ადგილი დაიკავა შუბის მტყორცნელმა ც. ლიპარტელიანმა, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება ხვდა ტექნოლოგიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტს მ. უჩაძეს. იგი უძლიერესი იყო ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში.

ო. ხისელი.

ჩვენი გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოვიდა წერილი. მახარაძელი ჭადრაკის მოყვარულნი გვწერდნენ, რომ ერთ დროს მათ ჰქონდათ ოთახი, რომელიც ასე თუ ისე აკმაყოფილებდა ამ თამაშის მოტრფიალეთ: იქ საკმაო რაოდენობით იყო ჭადრაკის კომპლექტები, მაგიდები და სკამები, იმართებოდა შეჯიბრებები. მაგრამ ერთ დღეს ოთახი სრულიად სხვა დანიშნულებისთვის გამოიყენეს და, ცხადია, საჭადრაკო სექციამაც შეწყვიტა მუშაობა.

როგორც საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი მ. ლომაძე გვატყობინებს წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. ამჟამად მახარაძელ ჭადრაკის მოყვარულთ ოთახი დაუბრუნდათ და სექციაც შეუდგა მუშაობას.

ქართული სპორტის ქრონიკა

მასალები
შეკრიბა და
მოგვაწოდა
ზ. ჩიკვაიძემ.

„მრავალ ხალხს მოუყრია თავი თბილისის რკინიგზის სადგურთან, სადაც დიდს ტრიალ მინდორზე დანიშნული იყო ცხენების დოღი. ფაიტონებით, ცხენებით, დროგებით, ქვეითად მიექანებოდა, თავქუდმოგლეჯილა მირბოდა ხალხი დილიდან დაწყებული...

გაიმართა 3 დოღი. მეორე დოღი ყველაზე უფრო საინტერესო სანახავი იყო... თავიდანვე მთელი საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი იყო გრ. ორბელიანის ცხენისადმი „მერცხალასადმი“ (რომელზედაც ნინიკა ბაქრაძე მჯდარა). იმან კიდეც გაამართლა ეს ყურადღება.. პირველად ის ყველაზე უკან მიდიოდა, მაგრამ შუა ადგილადან ჯერ ერთს გაასწრო, მერე მეორეს, მესამეს და შემდეგ უეცრად ყველა დანარჩენ ცხენებს თითქმის თავს გადაახტა და 200 საჟენზე ჩამოიტოვა უკან. ცხადი იყო ყველასათვის, რასაკვირველია, რომ ჯილდოს ის იღებდა, მაგრამ როცა ცხენი საზოგადოებას მიუახლოვდა და უანგარიშო ხალხმა ერთხმად ტაში დაჰკრა და მიაყვირა „ბრავო მერცხალა! ბრავო ნინიკა!“ ცხენი დაფრთხა, განზე გაიწია, მოედვა თოკს, დაეცა და მჯდარი გადავარდა... ნინიკა წამოხტა, შეჯდა დაწოლილ ცხენზე და ზეზე წამოახტუნა, მაგრამ საუბედუროდ მეორედ გახლართა თოკში და ჩვენი ნინიკა მეორედ ჩამოვარდა. ამ დროს მოასწრო სახელმწიფო ქარხნის შორს ჩამორჩენილმა ცხენმა და აიღო პრიზი. „მერცხალას“ სულ ორი საჟენი აკლდა ფლაგამდის.

...ასე გათავდა წლევანდელი თბილისის დოღი. ცხენის მცოდნე კაცებიდან გავიგონეთ და ჩვენ და ის საზოგადოთ ყველამაც შენიშნა, რომ ამ დოღში მხოლოდ ერთმა ცხენმა გამოიჩინა სახელი თ. გრ. ორბელიანის „მერცხალამ“.

(„დროება“, 1878 წ. 25 ღვინობისთვე).

• • •

„როგორც ყველა ადგილობრივ გაზეთებში გამოცხადდა 21 და 22 ოქტომბერს თბილისში გაიმართება ადგილობრივ და აგრეთვე უცხო ქვეყნების ჯიშის ცხენების იმ გვარივე დოღი, როგორც შარშან ამ დროს იყო გამართული.

ამბობენ, რომ ეს დოღის ადგილი მუშტაიდის ბაღის გვერდით თორმეტის წლით აქვს ვიღაც ნაუმენკოს მიცემული, იმ პირობით, რომ იმას თავის ხარჯით უნდა ქონდეს გამართული ცხენების საჭენებელი სადოღე წრე და აგრეთვე ყველა საჭირო შენობები. მაგიერად რაც საზოგადოებისაგან შემოსავალია ის ისარგებლოს.

ამნაირად ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ დოღი სამუდამოდ დაწესდა. ჩვენს ქალაქში მუდამ წელიწადს იქნება ვარჯიში ჩვენებური და უცხო ქვეყნის ჯიშის ცხენებისა. ეს გარემოება მით უფრო სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ ყოველგვარი ვარჯიშობა ცხენებისა და მხედრობისა კარგახანია, რაც თანდათან ვარდება, ისპობა ჩვენში. იყო დრო, როდესაც ყოველი ქართველი თავის მოვალეობად ხთვლიდა, რომ კარგი ცხენი ჰყოლოდა, კარგი ცხენოსნობა სცოდნოდა, გავარჯიშებული ყოფილიყო თოფის სროლაში, ჯირითში, მხედრობაში და საზოგადოთ ყოველ ამისთანა ვარჯიშში, რომელიც მტრისაგან ყოველის მხრიდან გარსშემოხვეულ მის სამშობლოს გამოადგებოდა. წავიდა ეს დრო, ათასში ერთხელ ჯირითსა და ჭიდაობას თუ ნახავთ... ამის გამო ქართველი ხალხი ნელნელა ვზანტდებით. აღარ არის ჩვენში ძველებური ვაჟკაცობა, მხნეობა, სიმამაცე, აღარა სჩანან ჩვენში ძველებური გამოჩენილი ძალიანი, ღონიერი კაცები, ძველებური მარჯვე ცხენოსნები, მოჭიდავენი, მობურთავენი, მონადირენი და სხვ. და ამ ფიზიკურ სისუსტეს, სიმდაბლეს უეჭველია ჩვენს ზნეობით მხარეზედაც თავის შესამჩნევი გავლენა აქვს...

ამიტომ სასურველია, რომ ჩვენს ქვეყანაში და ხალხში ხელახლად შემოვიდეს ძველებური მხედრობა, ცხენოსნობა, ბურთაობა, ჭიდაობა და სხვ. და ყოველი ამგვარი ვარჯიშობა, რომლის წყალობითაც ჩვენს ხალხს მიეცემა დაკარგული სიძლიერე, ფიზიკური და ზნეობითი. სასურველია, რომ ჩვენში დაარსდეს ისეთივე „მსროლელთა საზოგადოებანი“, როგორსაც დასავლეთ ევროპის ყველა ქალაქში იპოვით და რომელთა მიზანიც არის თოფის სროლის ცოდნის, თვალისა და ხელის სიმარჯვის ვარჯიშობის გავრცელება ხალხში... მსროლელი საზოგადოების დაარსებას რომ ვინმე ითავებდეს ამით დიდ ხარგებლობას მოუტანდა ჩვენს ხალხსა“.

(„დროება“, 1879 წ. № 216).



ფოტოთვალით



იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა ახლახან ჩატარებული მატჩის წინ აას-ის მიმომხილველი, სპორტის ოსტატი ი. საბიროვი წერდა: „ძნელია თქმა, რას უნდა ველოდოთ ახალგაზრდა ნაკაიამასაგან“. ზუსტად ასეთივე გაურკვეველი მოლოდინით იყვნენ აღჭურვილნი სპეციალისტები 16 წლის ლენინგრადელი მოსწავლის, საერთაშორისო ასპარეზზე სრულიად გამოუცდელი ნ. კუჩინსკაიას გამოსვლის მიმართაც.

და აი, მატჩი დამთავრდა. ახალგაზრდობამ ჩინებულ და მრავლისაღმთქმელ შედეგებს მიაღწია. ეს, კერძოდ, ითქმის როგორც ნ. კუჩინსკაიაზე, ისე ა. ნაკაიამაზე. ლენინგრადელმა გოგონამ ქალთა შორის ვერცხლის მედალი მოიპოვა მრავალჭიდში, ხოლო ცალკეულ იარაღებზე ნამდვილი ტრიუმფატორი გახდა: „ოქრო“ — თავისუფალ ვარჯიშსა და დვირზე (თანაც ბრწყინვალე მაჩვენებლებით — 9,9 ქულა!), „ბრინჯაო“ — ორძელზე. იაპონელმა ა. ნაკაიამამ ოქროს მედალი დაისაკუთრა თავისუფალ ვარჯიშში (9,8 ქულა) და ვერცხლისა — ძელზე (9,7).

სხვებთან ერთად ამ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა გამოსვლამ კიდევ ერთხელ და თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ მსოფლიოში ეს წამყვანი ტანვარჯიშული ქვეყნები ბრწყინვალე ცვლას ფლობენ ასეთივე ბრწყინვალე სპორტული ტრადიციების გასაგრძელებლად, რაც საერთაშორისო ასპარეზზე მათ შორის კვლავინდებურად მძაფრსა და მეტად საინტერესო ბრძოლებს გვიქადის.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — „ოქროს“ თავისუფალ ვარჯიშს ასრულებს ა. ნაკაიამა. მარჯვნივ — ორძელზეა ნ. კუჩინსკაია.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

ხუთჭიდელებს დარჩათ ერთი სახეობა

თანამედროვე ხუთჭიდში თბილისის საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეებს მესამე დღეს ამინდმა ხელი შეუშალა ბრძოლის გაგრძელებაში. მხოლოდ ნაშუადღევს გახდა შესაძლებელი სროლაში ასპარეზობა, მაგრამ ყველამ როდი მოასწრო ამ დღეს თვალისა და ხელის სიმარჯვის გამოვლენა. ამიტომ სპორტსმენთა ნაწილს ერთ დღეს ორ სახეობაში მოუწია შეჯიბრება: დილით — სროლაში, საღამოს კი — ცურვაში. გასაგებია, რომ ასეთმა დატვირთვამ რამდენადმე იმოქმედა შედეგებზე, თუმცა ლიდერებისთვის ამას ხელი არ შეუშლია.

სროლაში პირად შეჯიბრებაზე 197 ქულა დააგროვა დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა ვ. შმიდტმა. II იყო საბჭოთა ხუთჭიდელი, არმიელი პ. ლედნიოვი — 195, ხოლო III — დინამოელი ს. საბინევსკი — 194.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2890 ქულა. II ადგილზე გავიდნენ სომხეთის ხუთჭიდელები — 2714, ხოლო III — დასავლეთგერმანელი სპორტსმენები — 2692. საქართველოს ხუთჭიდელთაგან საუკეთესო — ა. მაროტი მე-18 იყო (187 ქულა), ჩვენმა ნაკრებმა გუნდმა კი 2054 ქულით VII ადგილი დაიკავა.

ცურვაში 300-მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა ლედნიოვმა — 3.48,7. II იყო არმიელი ს. შაპარნისი — 3.52,4, III — ვ. ზახარენკო (სომხეთი) — 3.53,4.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს არმიელებმა — 2952 ქულა. II ადგილი დაიკავეს სომხეთის სპორტსმენებმა — 2841, III — გფრ-მა — 2679. ქართველ ხუთჭიდელებში ყველას აჯობა ა. შეროზიამ — 4.09,1, რომელმაც საერთო VIII ადგილი დაისაკუთრა, ხოლო გუნდმა — V ადგილი (2586 ქულა).

ოთხი სახეობის შემდეგ I ადგილზეა ლედნიოვი — 4065 ქულა. შემდეგ არიან: ი. სამოშკინი — 3991 და საბინევსკი — 3895. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ დინამოელები — 11.113 ქულა. ორი მომდევნო ადგილი დაიკავეს სომხეთის წარმომადგენლებმა (10970) და დასავლეთგერმანელმა ხუთჭიდელებმა (10616).

საქართველოს ახალგაზრდული გუნდის წევრი მ. გოგინაშვილი 3649 ქულით XII ადგილზეა, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები კი 9930 ქულით VI ადგილზე გადავიდა.

დღეს სპორტსმენები იასპარეზებენ ხუთჭიდის უკანასკნელ სახეობაში — მძლეოსნურ კროსში.

სურათზე: ინდერი (გფრ) ცხენოსნურ კროსში ასპარეზობისას.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

ფეოლას გუნდი ანგარიშს უწევს ევროპას

ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი პ. პულენი ეწვია ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელს ვ. ფეოლას და ესაუბრა მას.

● **როგორ აფასებთ ევროპის გუნდების წინააღმდეგობის უნარს თქვენი წლევანდელი ტურნეს მიხედვით?**

— კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბელგიის გუნდმა. ბელგიელები უმთავრესად 2—3-კაციან იერიშს მიმართავენ და ხშირად ცვლიან ფლანგურ შეტევას. დასავლეთ გერმანიის გუნდი ნაკლებად ეფექტურია და არც ისწრაფვის ეფექტურობისკენ, მოქმედებს ძლიერად, შეიძლება ითქვას — მკვეთრადაც. საერთოდ კი იგი წინა წლებზე ძლიერად არ გამოიყურება. საუკეთესო ნაკრები ჰყავს პორტუგალიას, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენთვის ევროპაში, თუმცა მოთამაშეები გადამეტებით აფასებენ თავის ძალას. მნიშვნელოვნად შესუსტდა შვეციის გუნდი. სსრ კავშირის ნაკრები კარგი გუნდია. ალბათ, იქ ძალიან დაწყდათ გული, როცა ჩვენთან ანგარიშით 0:3 წააგეს. საბჭოთა ნაკრებიდან რიაბოვი და მესხი უმაღლესი კლასის მოთამაშეებად მიმაჩნია.

● **რა აზრისა ბრძანდებით ინგლისელებზე?**

— ინგლისი ჩემპიონობის ყველაზე რეალური პრეტენდენტია. ვფიქრობ, სწორედ ინგლისელებს შევხვდებით ფინალში და მათთან წაგებაც კი საპატიო იქნებოდა. რაც შეეხება ინგლისელთა მარცხს ბრაზილიაში, ეს წმინდა შემთხვევითობა იყო.

● **რა აზრისა ხართ თქვენს ნაკრებზე?**

— გუნდი საკმაოდ კარგადაა დაკომპლექტებული. ახლა ძირითად ამოცანას წარმოადგენს შეთამაშება.

● **როგორ გრძნობს თავს გარინჩა ტრავმის შემდეგ?**

— მომავალ წლამდე იგი ძველებურად ათამაშდება.

● **ვის ვარაუდობთ თქვენს გუნდში ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე?**

— ფლავიოს ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს. მან, დუდუმ, პარანამ, აგრეთვე ადემირ და გუიამ ყველაზე კარგად ჩაატარეს წლევანდელი სეზონი.

● **რა სისტემას აირჩევთ: 4—2—4-ს, თუ 4—3—3-ს?**

— დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში მოგვიწევს თამაში.

● **რა აზრისა ხართ იმ მზადებაზე, რომელიც ინგლისში ნახეთ?**

— ჩემზე ინგლისელთა სამზადისმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ვფიქრობ, მსოფლიოს პირველობა უმაღლეს დონეზე ჩატარდება.

▲ ლაიპციგი. მსროლელთა ამხანაგურ შეჯიბრებაზე ადგილობრივ „ფორვერტსსა“ და პრაღის „დუკლას“ შორის დამყარდა გდრ-ის 3 რეკორდი: მცირეკალიბრიან სტანდარტზე 3×40 — ზომერი — 1162 ქულა. ჩოქილა სროლაში — ზომერი — 3937 ქულა და გუნდურ ჩათვლაში — 4579 ქულა. პრაღელებიც თავისი ქვეყნის რეკორდსმენები გახდნენ მცირეკალიბრიან სტანდარტზე გუნდურ ჩათვლაში — 4553 ქულა.

▲ **სანტ-იაგო, 27 ოქტომბერი.** არგენტინელმა ო. ფოგელმანმა აქ მიმდინარე „ხალხთა ძმობის“ ტურნირის 8 ტური დაუმარცხებლად განვლო და მხოლოდ ერთხელ (კუბის ჩემპიონ ე. ჰიმენესთან) გაიყო ქულა. ამრიგად, ფოგელმანმა 7,5 ქულა დააგროვა და გაუსწრო საბჭოთა დიდოსტატების დუეტს: გელერს აქვს 7 ქულა, ხოლო სმისლოვს 6 და 1 მოსაგებ პოზიციაში გადადებული პარტია. პირველ ოთხეულს „აბოლოებს“ მეორე არგენტინელი — ა. ბელიცკი (5 ქულა).

▲ **ვარშავა.** პოლონელმა მოკრივეებმა საერთაშორისო მატჩი გამართეს ინგლისელებთან და გაიმარჯვეს — 16:4. აღსანიშნავია, რომ ცნობილი სპორტსმენების პეტშიკოვსკის, კულეისა და სხვების გვერდით გამოვიდნენ ახალგაზრდა მოკრივეები. განსაკუთრებით ისახელა თავი მჩატე წონის სპორტსმენმა რადიკოვსკიმ, რომელმაც მეტოქე პირველსავე რაუნდში გაგზავნა ნოკაუტში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისი სპორტული აფიშა

ძლეოსნური კროსი. კუს ტბის მიდამოები. 28 ოქტომბერი. შეჯიბრება ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირის პროგრამით. დასაწყისი 13 ს.

კლასიკური ჭიდაობა. სპორტის სასახლე. 28 ოქტომბერი. საერთაშორისო შეხვედრა. **საქართველო (ნაკრები) — ჩეხოსლოვაკია (ნაკრები).** დასაწყისი 19 ს.

კრივი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **28-30 ოქტომბერი. საქართველოს პირადი პირველობა.** დასაწყისი 18 ს.

ჭადრაკი. ძერჟინსკის სახ. კლუბი (ბესიკის ქ. № 4). 28 ოქტომბერი. ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის V ტური. დასაწყისი 16 ს.

თბილისის „დინამოს“ ვეტერანი კალათბურთელები იუწყებიან სპორტის ოსტატ ი. ხაზარაძის დედის

ნინო ვალერიანის ასულ კანდელაკი-ხაზარაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66418

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 12324